სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა–ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია
უფროსი მეცნიერ –თანამშრომელი– 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;
თანამდებობრივი სარგო- 950 ლარი.

ფუნქციები:

-ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ცალკეული ეტაპების შესრულებას და პასუხისმგებელია ამ ეტაპების შესრულებაზე, ირჩევს კვლევების ჩატარების განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებს.

-მონაწილეობს SiGe შენადნობების პროფილირებული ნამზადების შექმნასა და კვლევაში. ამუშავებს ფოტოელექტრული გარდამქმნელების და დაბალტემპერატურული თერმოელექტრული მასალების საფუძველზე მცირე სიმძლავრის თერმოელექტრული მაცივრისა და გენერატორის კონსტრუქციებს და ქმნის ნაკეთობების პროტოტიპებს;

-ახორციელებს მოქმედი გამახურებელი და გამზომი ხელსაწყოებისა და დანადგარების სამუშაო მდგომარეობის ზედამხედველობას.

-უშუალოდ მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, უზრუნველყოფს დავალებების დროულ შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

-ამზადებს საანგარიშო დოკუმენტაციას ლაბორატორიის ხელმძღვანელის დავალებით.

უფროსი მეცნიერ–თანამშრომლის კონკურსის პირობები:
<u>კონკურსანტს</u> <u>უნდა</u> <u>ჰქონდეს:</u>
1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და

საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2021 წლის 25 ნოემბრის 10 საათიდან 30 ნოემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).
– კონკურსი გაიმართება 01 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913